


„საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული  
სამსახური“

„State Hydrographic Service of Georgia“



საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური



მეზღვაურთა უწყებანი

უწყება №  
4-6

გამოშვება №05  
თარიღი: 5 მაისი 2013წ.

საზღვაო რუკები და სახელმძღვანელოები უნდა იქნეს შესწორებული მეზღვაურთა უწყებების მიხედვით.

მეზღვაურთა უწყებანი ქვეყნდება როგორც ცალკეული გამოცემა და ყოველ გამოცემას აქვს საკუთარი რიგითი ნომერი. ნუმერაცია ნარჩუნდება მუდმივად, მთლიანი კალენდრული წლის განმავლობაში.

მეზღვაურთა უწყებანის გამოცემის მიზანია: დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მეზღვაურებს მომხდარ ცვლილებებზე: როგორც სანავიგაციო ვითარებით ასევე ნაოსნობის რეჟიმში.

საზღვაო რუკებისა და ლოციის განახლებისთვის საჭიროა მეზღვაურები ინფორმირებულნი იყვნენ სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ, შემდეგში;

- I. ახალი აღმოჩენილი დაბრკოლებები როგორცაა: მარჩხოები, მეჩენი, კლდეები, ქვები და ასევე ვულკანური წარმონაქმნები.
  - II. ნებისმიერი ცვლილებები რუკებსა თუ სანავიგაციო სახელმძღვანელოებში.
  - III. აუცილებელი ინფორმაცია თვალსაჩინო ნიშნებისა და ობიექტების რუკებზე დასატანად და სხვა ინფორმაცია, რომელიც გაამარტივებს უსაფრთხო ნაოსნობის უზრუნველყოფას.
- მონაცემები და ადგილ მდებარეობა დაბრკოლებების შესახებ, რაც შეიძლება ზუსტად არის წარმოდგენილი. პუბლიკაციებზე წარგზავნისას მითითებულია პუბლიკაციის ნომერი და გამოშვების წელი. რუკებზე გეოგრაფიული კოორდინატებით წარგზავნისას მითითებულია რუკის ნომერი და გამოცემის წელი.

ინფორმაცია მეზღვაურთათვის

მეზღვაურთა უწყებებში ობიექტების ადგილმდებარეობა მოცემულია გეოგრაფიულ და პოლარულ კოორდინატებში, გრძედები მოყვანილია გრინვიჩიდან. მოყვანილი კოორდინატები შეესაბამება მსხვილმასშტაბიანი რუკების კორექტირებას. რეკომენდირებული გზების თუ კვეთების მიმართულებები ორმხრივია: პირველი ზღვის მხრიდან (პირველი კვეთის ნიშნიდან კვეთის ბოლო ნიშნამდე), მეორე ზღვის ნაპირიდან. განათების მიმართულების სექტორი მოცემულია გრადუსებში, საათის ისრის მიმართულებით. სიმაღლეები მოცემულია მეტრებში.

ბუნებრივ ობიექტთა სიმაღლეები (როგორცაა: მთები, გორაკები, ბორცვები, კლდეები და სხვა) და აგრეთვე მაშუქების სიმაღლეები, რომლებიც ატარებს სანავიგაციო დატვირთვას ათვლილია ზღვის დონიდან, რომელიც ასევე განსაზღვრავს რუკაზე მოცემულ სიმაღლეებს. ნავებობათა სიმაღლეები მოცემულია საძირკველიდან. თუ ნავებობათა სიმაღლეები მოცემულია ზღვის დონიდან ეს არის მითითებული.

მაშუქები, რომლებიც სანავიგაციო მნიშვნელობას ატარებს, მათი ნათების მანძილი განისაზღვრება საზღვაო მილეებში. სიდრმეები განისაზღვრება მეტრებში სიდიდიდან რომლებიც ამ რეგიონში ათვლის წერტილად ითვლება და განისაზღვრება როგორც მოცემული რუკის ნული.

რუკები და პუბლიკაციები გამოიცემა საქართველოს ჰიდროგრაფიული სამსახურის მიერ.

# სარჩევი

ზოგადი ინფორმაცია----- 1-4

I.საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი----- 5-6

II.რუკის კორექტურა----- 7-8

III.სანავიგაციო მდგომარეობის ცვლილებები  
საქართველოს ტერიტორიულ წყლებში----- 9

IV.სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების  
კორექტურა-----10

V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა----- 11

## I. საკორექტურო რუკების და გამოცემების ჩამონათვალი

### რუკები

№	მეზღვაურთა უწყებანი	№	მეზღვაურთა უწყებანი	№	მეზღვაურთა უწყებანი
A3317	4				
RU38190	4				
GE103	4				
A3317	5				
RU38190	5				
GE103	5				
GE10	6				
A3313	6				

### წიგნები

გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი	გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი	გამოცემის თარიღი	მეზღვაურთა უწყებანი

## II. რუკების კორექტურა

### შავიზღვა, საქართველოს სანაპირო

#### 4. რუკა A3317; RU38190; GE103; საქართველო, შავიზღვა

ძლიერი შტორმების შედეგად ფოთის პორტში შემავალი არხი მოისილა. გემები რომელთა წყალშიგი აღემატება 9.3 მეტრს, დროებით ფოთის პორტში შემავალი არხით ვერ ისარგებლებენ.

#### 5. რუკა A3317; RU38190; GE103; საქართველო, შავიზღვა

ფოთის პორტში, შემოსასვლელ არხში მოძრაობისთვის დღეისათვის საბაზისო მონაცემებით გამოცხადებულია 10.35 მეტრი.

#### 6. რუკა: GE103; A3313; საქართველო, შავიზღვა

საქართველოს სასაზღვრო პოლიციის სანაპირო დაცვის დეპარტამენტმა, ოპერაციების მართვის მთავარმა სამმართველომ ჩაატარა საზღვაო სასწავლო სროლები, შემდეგ კოორდინატებში:

1. $\phi=41^{\circ} 55'00''N$ $\lambda=41^{\circ} 33'00'' E$	3. $\phi=41^{\circ} 55'00'' N$ $\lambda=41^{\circ} 22'00''E$
2. $\phi=41^{\circ} 48'00''N$ $\lambda=41^{\circ} 33'00'' E$	4. $\phi=41^{\circ} 48'00'' N$ $\lambda=41^{\circ} 22'00'' E$

2013 წლის 30 აპრილიდან 01 მაისის ჩათვლით 11:00 საათიდან 18:00 საათამდე უსაფრთხოების მიზნით, მოცემულ საზღვაო რაიონში ნაოსნობა აკრძალული იყო.

### III. სანავიგაციო მზომარეობის ცვლილებები საქართველოს ტერიტორიულ წყლებში

### IV. სანავიგაციო რუკების და სახელმძღვანელოების კორექტურა

### V. სანაოსნო მიმართულებების კორექტურა